ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №366

ქ. თბილისი 7 აგვისტო 2019 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2, შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ბი ემ სი გორგია“ (მდებარე ქ.ბათუმი, სოხუმის ქ.№10 შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 1 (ერთი) ცალი წყლის ელექტრო გამაცხელებლის („Thermex“ 80ლ. ჰორიზონტალური) მიწოდებას „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად (კლასიფიკატორის კოდი 39715100).

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 289 (ორას ოთხმოცდაცხრა) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ 2019 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით „მიმწოდებლის“ მისამართზე.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები საქონლის მიღების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ საქონელთან ერთად „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები - სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ საქონლის მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ მიწოდებული საქონლის ტენზე იძლევა 5 წლიან გარანტიას, ხოლო ავზზე – 1 წლიან გარანტიას;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების შემოწმების გზით;

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო სამმართველოს უფროსი – ვასილი ვაშაკიძე;

2) ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი – კახა პეტრიაშვილი.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 7 აგვისტოს და მოქმედებს 2019 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი - 203840344

„შემსყიდველის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

ნუგზარ ყამბეგაშვილი

„მიმწოდებელი“:

შპს „ბი ემ სი გორგია“

ქ.ბათუმი, სოხუმის ქ.№10
ტელ: 2960960, 591911089

სს „თიბისი ბანკი“

ა/ა №GE62TB1007536020100008
კოდი TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი - 245621288

„მიმწოდებლის“ სახელით:

შპს „ბი ემ სი გორგიას“
დირექტორის მინდობილი პირი
(მინდობილობა №170774865)

ლევან გელაშვილი

Digitally signed by special state protection service of georgia

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ შპს „ბი ემ სი გორგიასთან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსი — ნუგზარ ყამბეგაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო
სამმართველოს უფროსი — ვასილი ვაშაკიძე

ეკონომიკური დეპარტამენტის, სამეურნეო
სამმართველოს უფროსი სპეციალისტი — კახა პეტრიაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს უფროსის მოადგილე — ვასილ მეგრელიშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

68310948258517

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170774865

რეგისტრაციის თარიღი

10.07.2017 წ

ნოტარიუსი: ხათუნა კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
ტელეფონი: 27-73-43

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ათ ივლისს, მე, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.№12-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ხვიჩა პაპუნიძემ (დაბადებული 31.03.1971წ, პირადი #61006011559, მცხოვრები** მისამართზე: ბათუმი ვ.გორგასალის ქ. N 149/151/153 ბ. 1) . მან განაცხადა, რომ:

ა) არის შპს "ბი ემ სი გორგია"-ს (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას ამ რწმუნებულებით სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ლევან გელაშვილს (პ/ნ 57001013893); ხვიჩა პაპუნიძემ** მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე **ხვიჩა პაპუნიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "ბი ემ სი გორგია"-ს შესახებ 2) შპს "GBM" (იგივე „ ბი ემ სი „) –ის წესდება .

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

რწმუნებულება

შპს "ბი ემ სი გორგია"(ს/კ 245621288), წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა პაპუნიძის (პ/ნ 61006011559) სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი", **ლევან გელაშვილს** (დაბ: 24.10.1984წელს, პ/ნ 57001013893) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით:

ა) დადოს მარწმუნებლის სახელით საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" განსაზღვრულ სუბიექტებთან მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 4 000 ლარს. დამოუკიდებლად განსაზღვროს ყველა ამ გარიგების დადებისას შინარსი, პირობები, ფასი, თანხა, ვადა და სხვა. შეიტანოს მათში ცვლილებები და დამატებები, გააუქმოს/შეწყვიტოს/მოშალოს ისინი. შესრულოს დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს წარმოშობილი უფლებებით.

ბ) შეასრულოს სხვა მოქმედებები, რაც არ არის მითითებული პირდაპირ მაგრამ გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტში მითითებული უფლებამოსილებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. რწმუნებულს არ აქვს უფლება აღნიშნული უფლებამოსილებანი სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს.

3. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

4. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს მარწმუნებლის მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რწმუნებულს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის, ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ **თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1. 80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.**

ხვიჩა პაპუნიძე

ნოტარიუსი: ---------- ხ. კალანდარიშვილი